



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თურქული ფილოლოგიის სპეციალობა

თურქმენი პოეტ მაჰთუმქულუ-ს ლეგენდების მოტივთა ანალიზი

მუსტაფა სერბეს

თურქული ფილოლოგია, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2017

სამეცნიერო ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკად. წოდება):

ასოც. პროფ. დოქტ. აჰმეთ გიოქჩიმენ (ერზრუმის ათათურქის უნივერსიტეტი)

(სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

1. პროფ. დოქტ. ილიას უსთუნიერ _____

2. ასოც. პროფ. დოქტ. მუზაფერ ქირი _____

ოპონენტები:

1. ასოც. პროფ. დოქტ. მარინე შონია _____

2. ასოც. პროფ. დოქტ. ელენე ჯაველიძე _____

ესავალი

ცნობილი თურქმენი პოეტი მაჰთუმქულუ თავისი პოეზიითა და სამაგალითო ცხოვრებით არის თურქმენი ხალხის სათაყვანებელი პიროვნება. მაჰთუმქულუ დაიბადა თურქმენეთის ერთეულ ჩაი-ს რეგიონის ჰაჯი-გოვმან-ის რაიონში. მან თავისი დროის შესაბამისად საუკეთესო განათლება მიიღო. კარგად ფლობდა არაბულ და სპარსულ ენებსაც (Biray,1992, s. 8-13).

პოეტმა თავისი ცხოვრების მანძილზე იმოგზაურა თურქმენეთში, უზბეკეთში, ავღანეთში, ინდოეთში და ირანში. იმის გამო, რომ პოეტმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა თურქმენებში, იგი იქ ძალიან უყვართ და მას მიიჩნევენ თურქმენთავის გზის მაჩვენებლად. პოეტის შემოქმედებაზე დაწერილი სტატიები, წიგნები და საკონფერენციო მასალები ცხადყოფენ, თუ რამდენად დიდია მისი მნიშვნელობა როგორც პოეტისა და პიროვნებისა თურქმენი ხალხისთვის. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისთვის მაჰთუმქულუ-ს შემოქმედებისა და პიროვნების გაცნობა, რომელსაც ასეთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თურქმენი ერის ცნობიერებაში.

მაჰთუმქულუ გახლდათ ინტელექტუალი და სუფისტი რომელიც კლასიკურ და ხალხურ ჟანრებში ქმინდა თავის ნაწარმოებებს. მის ნაწარმოებებში მთავარი თემებია მორალი, თავისუფლება, ალაჰისა და იმქვეყნიური ცხოვრების რწმენა, ერთობა და სამშობლოს სიყვარული (Biray,1992).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რიგმა თურქულენოვანმა ერებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ზოგმა კი ავტონომიური სტატუსი მოიპოვა. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული თურქეთთან ინტენსიური კავშირების შედეგად თურქულენოვანი ხალხების ფოლკლორისადმი ინტერესი გაიზარდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება თურქეთში შუა-აზიის თურქულენოვანი ხალხების ფოლკლორის შესწავლის მიმართულებით. წინამდებარე სადოქტორო ნაშრომიც ხსენებულ მიზანს ემსახურება.

ლეგენდა მოკლე ზეპირსიტყვიერი გადმოცემის ერთი სახეობაა. მასში რეალური ამბების პარალელურად ზებუნებრივი მოვლენებიც ხდება. ლეგენდის

გადმომცემებსაც და მის მსმენელებსაც სჯერათ, რომ ლეგენდა ნამდვილ ამბავს ეფუძნება (Seyitoğlu, 1997, s.13).

ლეგენდის საგნად შეიძლება გახდეს ისტორიული, რელიგიური, ყოველდღიური თუ ფანტასტიკური თემატიკა. თურქულ კულტურულ მემკვიდრეობაში ლეგენდებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ.

კვლევის საკითხი

XVIII საუკუნის თურქმენი პოეტ მაჰთუმქულუ-ს შესახებ არცთუ ისე ბევრი წერილობითი ცნობა მოიპოვება. მის შესახებ ცნობები ძირითადად ხალხური გადმოცემების მეშვეობითაა გავრცელებული. აღნიშნული ცნობები თურქმენეთში დაბეჭდილ ორ წიგნშია თავმოყრილი. ზოგადად, მაჰთუმქულუ-ს შესახებ მეტად მწირი სამუშაოა ჩატარებული. ჩვენის აზრით, ერთერთი ნაკლია პოეტის ლეგენდებში არსებულ მოტივთა შესახებ ნაშრომების არარსებობაც.

მოცემული კვლევის მიზანია მაჰთუმქულუ-ს ლეგენდებში არსებულ მოტივთა ანალიზი და პოეტის რეალურ ცხოვრებასა და მის ნაწარმოებებში მოცემული ცნობების ერთმანეთთან შეკავშირება. ამასთან ერთად, კვლევის მიზანს წარმოადგენს პოეტის შემოქმედების გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის.

ლეგენდებში გამოვლენილი მოტივები დალაგებულია ნუმერაციულად შესაბამისი სათაურებით Motif Index of Folk Literature მეთოდის მიხედვით და ჩატარებულია მათი მრავალმხრივი ანალიზი.

კვლევის მიზანი

ნაშრომის მიზანია მაჰთუმქულუს თქმულებებში მოტივების გამოვლენა და მათი ანალიზი, აგრეთვე რეალური და ფიქტიური სიუჟეტების დადგენა. ნაშრომის სხვა მიზნებია:

1. თქმულებათა ტექსტების ანალიზისას იმ კვლევის იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც აქამდე თურქმენეთში არ ყოფილა გამოყენებული.

2. კონკრეტული ტექსტების ანალიზისას ზოგადად მოტივებისა და მათი კვლევის მეთოდების გამოვლენა.

3. მაკთუმქულუს თქმულებების ახსნა-განმარტება და მათი თანამედროვე კვლევის მეთოდისმეშვეობით გაანალიზება.

კვლევის აქტუალობა

თურქმენეთში არ ჩატარებულა მაკთუმქულუს ლეგენდებში არსებულ მოტივთა ანალიზი. ვერ იქნა მოზიებული აგრეთვე საკითხთან დაკავშირებული სხვა ტიპის ნაშრომი. აქედან გამომდინარე მოცემული ნაშრომი წარმოადგენს სიახლეს აღნიშნული მიმართულებით.

დღემდე მაკთუმქულუს ტექსტებთან დაკავშირებით მრავალი სტატია, წიგნი თუ სადოქტორო ნაშრომ დაწერილა. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს მისი ნაწარმოებების მოტივების ანალიზს. კვლევისას გამოყენებულია ტომფსონის ხალხური ლიტერატურის მოტივთა ინდექსის მეთოდიკა.

კვლევის ჰიპოთეზა

1. მაკთუმქულუს თქმულებებში მოცემული სიუჟეტები რეალურ ფაქტებს ემთხვევა. ტექსტებში ხშირად გვხვდება რელიგიური და ყოველდღიური თემატიკა.

2. მაკთუმქულუს თქმულებებში არ არის მოცემული მითოლოგიურ-ფანტასტიკური მოტივები, ცოტაა მაგიური თემატიკა.

3. მაკთუმქულუს თქმულებებში მრავლადაა ისეთი რეალური თემატიკა, როგორცაა საზოგადოება/ჯამათი, ცხოვრებისეული გამოცდები, ჯილდო და სასჯელი, ჭკვიანები და სულელები.

გამოყენებული მეთოდთა

გამოყენებულ იქნება საკითხთან დაკავშირებული წყაროების განხილვისა და ანალიზის, შედარებისა და მოტივთა გამოვლენის მეთოდთა.

კვლევის სიახლე

მიუხედავად იმისა, რომ მაკთუმიკულუს თქმულებებთან დაკავშირებით ბევრი ნაშრომი დაწერილი, მათი მოტივების ანალიზი დღემდე არ ჩატარებულა. მოცემულ ნაშრომში მოტივთა ანალიზის ის მეთოდთა გამოყენებული, რომელიც დღემდე თურქმენეთში არ ჩატარებულა.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება

მოტივთა ანალიზის მეთოდი; ნაწარმოებებში გადმოცემული სიუჟეტების ისტორიული პერიოდებისადმი კუთვნილების დადგენა; ეკუთვნის თუ არა სიუჟეტები თურქმენულ კულტურას თუ სხვა ხალხური ლიტერატურის ნიმუშებიდანაა აღებული.

1. ნაწილი

საკითხთან დაკავშირებული ნაშრომები

ლეგენდებთან დაკავშირებული ნაშრომები თურქმენეთში

მეფის რუსეთში აღმოსავლეთის ხალხთა უფრო ახლოს გაცნობის მიზნით დაწყებულ სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების დაწყების პარალელურად დაიწყო თურქმენული ფოლკლორის შესწავლა. ამ მიზნით რიგ უნივერსიტეტებში გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრები. ორიენტალისტი მკვლევარები წერდნენ სამეცნიერო ნაშრომებს აღმოსავლეთის ხალხთა წერილობითი და ზეპირი ლიტერატურული ნაწარმოებების შესახებ. რუსი ორიენტალისტი მკვლევარებიდან აღსანიშნავია შემდეგი მკვლევარები: ა.ნ. სამოილოვიჩი, ვ.ვ. ბართოლდი, ფ.ა. ბაკულინი, ი.ნ. ბერეზინი, ი.ა. ბელაიევი და სხვანი. 1917 წლის ბოლშევიკური

რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა სამეცნიერო სამუშაოებს აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით რევოლუციის შუა აზიის ხალხებში გავრცელების მიზნით რაც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებას წარმოადგენდა. 1920-იანი წლებიდან მეტი ყურადღება ექცეოდა ფოლკლორული მასალების შეკრებას. ამ მიმართულებით სამუშაოები ჩაატარეს შემდეგმა რუსმა ფოლკლორისტი-ორიენტალისტებმა: ა.ნ. სამოილოვიჩი, ვ.ვ. ბართოლდი, ფ.ა. ბაკულინი, ი.ნ. ბერეზინი, ა.ა. პოცელუიევსკი, ი. ე. ბერტელესი, ლ.ი. კლიმოვიჩი, მ.ა. საკალი. თურქმენი მკვლევარებიდან უნდა აღინიშნოს: მ. ქიოსაევი, ა. გოვშუდოვი, ბ.ა. გარრიევი, კ. ბერკელიევი, ბ. აჰუნოვი, რ. ნაზაროვი, ს. ანნანუროვა, პ. ქიჩიგულოვი, ბ. მამმეთიაზოვი, ნ. შუქუროვი, ამანმურათ ბაიმურადოვი და სხვანი რომელთაც კვლევის სფეროში მიმართულება მისცეს რუსმა ორიენტალისტებმა.

თურქმენული ფოლკლორული მასალის შეგროვების შემდგომ 1960-იან წლებში დაიწყო შეგროვებული მასალის კვლევა. აღნიშნული კვლევები თურქმენულ და რუსულ ენაზეა ჩატარებული.

რათქმაუნდა, თურქმენული ფოლკლორის კვლევა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებითა და შრომებით არ შემოიფარგლება. იგი მხოლოდ გვეხმარება თურქმენული ლეგენდების კვლევაში საჭირო ცნობების მოპოვების კუთხით.

1881- 1917 წლებს შორის ჩატარებული ლეგენდების კვლევითი საქმიანობა

1881 წელს მეფის რუსეთმა დაიპყრო თურქმენეთის ტერიტორია ხოლო 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიამ დაასრულა თავისი არსებობა. შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის შექმნამდე ჩატარდა რიგი კვლევითი საქმიანობისა ლეგენდების შესწავლის კუთხით.

თურქმენულ ლეგენდებთან დაკავშირებული პირველი ნაშრომები დაიწერა მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში. აღნიშნული ნაშრომები დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში. თურქმენული ლეგენდების თაობაზე დაწერილი პირველი სტატიაა მ. გეით-ის (M. Gate) ნაშრომი სახელწოდებით “თექვსე თურქმენები“ რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ “Step“-ის მე-4 და მე-7 ნომრებში (Ergun, 1997,s.75).

1908 წლის 24 იანვარს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის წევრთა სხდომაზე ა.ნ. სამოილოვიჩმა წარადგინა მოხსენება სახელწოდებით “დედე ქორქუთ-ის და ქოროღლუ-ს ლეგენდები“ სადაც მან გააანალიზა აღნიშნულ ლეგენდებთან დაკავშირებით არსებული ცნობები. შემდგომ ამისა მკვლევარმა თითოეული თქმულების შინაარსი გადმოსცა. ამ თქმულებათა მიხედვით ქოროღლუ სიზმარში ნახავს ალი მოციქულს. ალი მოციქული ქოროღლის დაავალებს ისლამის გავრცელებას. ამ მიზნით ღმერთი ირანის შაჰ არაფ რეიჰან-ს წაართმევს მთელს მის დიდებასა და ბედნიერებას და გადასცემს ქოროღლუ-ს. სამოილოვიჩი თავის მოხსენებაში იძლევა ცნობებს, რომ ქოროღლუ-ს მამას სახელად ერქვა კურდჰალ-ი, სხვა (ირანული) ცნობის მიხედვით ქოროღლუ მკვდარი საფლავში, გარდაცვლილი ქალიდან დაიბადა (Şahin, 2011, s.13-14). აღნიშნული ცნობები მოცემულია 1909 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში დასახელებით *Zapiski Vostonochnogo Otdeleniya Imperatorskogo Russkogo Arheologicheskogo Obshestva* – ს მე-4-5 გვერდებზე (Berkeliyev, 1980, s.14-15).

1910 წელს ა.ნ. სამოილოვიჩი აქვეყნებს სტატიას სახელწოდებით “*Tri Turkmenskie skazki v russkom perevode*” (სამი თურქმენული ზღაპრის რუსული თარგმანი) რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ თურქმენული ფოლკლორი არასათანადოდაა შესწავლილი. აღნიშნულ ნაშრომში თურქმენული ზღაპრები და ლეგენდები რუსულ ენაზეა მოცემული (Berkeliyev, 1980, s.14-15).

სამოილოვიჩმა გაიცნო ჰოჯალი მოლლა, რომელიც მურატბერდიოღლუ-ს სახელით იყო ცნობილი. მისგან მოიპოვეს მასალებს თურქმენულ ლიტერატურასა და ფოლკლორთან დაკავშირებით. ჰოჯალი მოლლა სამოილოვიჩს მიაწვდის შემდეგ თურქმენულ ნაწარმოებებს: ჯენნამე, ოლუზნამე, ქოროღლუ, დედე ქორქუთ, შეჯერეთ-ულ თერაქიმე. აგრეთვე, სამოილოვიჩს გადაეცა ისეთი მნიშვნელოვანი თურქმენი პოეტების ნაწარმოებები, როგორებიცაა: აზადი, მაჰთუქმულუ, ქემინე, სეიდი, თალიბი, მისქინქილიჩ და სხვები (Nuraliyev, 1971).

მეფის რუსეთში აღმოსავლეთის ხალხებთან დაკავშირებით დაწერილი ნაშრომები ქვეყნდებოდა გამოცემაში სახელწოდებით *Zakaspiya Turma Gazeta*. ჰოჯალი მოლლა-ს მიერ აღნიშნულ გამოცემაში გაგზავნილი თითქმის ყველა

ნაწარმოები/ნაშრომი დაიბეჭდა. მის მიერ გამომცემლობისთვის მიწოდებულ თურქმენულ ნაწარმოებთა უმრავლესობა თურქმენული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებია. ადგილი დაეთმო აგრეთვე თურქმენი პოეტების ბიოგრაფიებსა და მათთან დაკავშირებულ გადმოცემებს. რადგანაც გამომცემლობის რედაქტორი ბელიაევი ჰოჯალი მოლლას-გან ითხოვდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ეს უკანასკნელიც შესაბამისი ჟანრის ნაწარმოებებს აწვდიდა გაზეთს. აღნიშნული გაზეთის თურქმენეთში გამოცემა დაიწყო 1914 წელს (Nuraliyev, 1971).

სამოილოვიჩი ასკვნის, რომ თურქმენულ ლიტერატურას საფუძველი ჩაეყარა “დედე ქორქუთ“-ის შექმნით და ეს მოხდა აზბასიდების დინასტიის მმართველობის პერიოდში. მკვლევარის ცნობით დედე ქორქუთმა 95 წელი იცოცხლა და მას სამი ქვეყნის მმართველის მრჩევლის პოსტი ეკავა სხვადასხვა პერიოდებში. მისივე ცნობით დედე ქორქუთ-ი ცხოვრობდა სელჩუკთა სულთან მელიქშაჰ-ის მმართველობის პერიოდში (Nuraliyev, 1971).

ი.ა. ბელაიევი 1915 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში *Grammatika Turkmenskogo Yazıka* (თურქმენული ენის გრამატიკა) დაწერა რუსულ ენაზე. თურქმენული ენის გრამატიკული წესების ილუსტრირების მიზნით ავტორმა მაგალითები მოიყვანა სხვადასხვა თურქმენული ლეგენდებიდან და თქმულებებიდან.

ნაშრომი სახელწოდებით *Protokoli Zasedaniy i Soobsheniya Chlenov Zakaspiskogo Krujka Lubiteley Arheologii i İstorii Vostoka* შედგება რვა სტატიისგან რომლებიც ეძღვნება ისტორიას, არქეოლოგიასა და ფოლკლორს. აღნიშნული წიგნი გამოვიდა 1915 წელს რუსულ ენაზე. შემდეგ წელს კი გამოვიდა მისი მეორე ტომი. მეორე ტომშიც იგივე თემატიკას დაეთმო ადგილი. ამ გამოცემაშიც რვა სტატია დაიბეჭდა.

ზემოთ აღნიშნული გამოცემის პირველ ტომში ო.დ. მიხაილოვას მიერ დაბეჭდილ ნაშრომში სახელწოდებით *Skazanie o Zavoevanii Tekintsami Ahala*, რომელშიც აჰალ-ის რეგიონის დაპყრობას შეეხება შემდეგი ლეგენდაა გადმოცემული: “აჰაკლ-ის რეგიონი იმართებოდა ოგურლი ხანის მიერ. ქეიმირ ქორ-ი აჰალ-ის რეგიონის შესახებ ცნობების შეგროვების მიზნით იქ გააგზავნის

მარილის ვაჭრების ტანისამოსში გადაცმულ ჯამუშებს. ჯამუშები ხმას გაავრცელებენ, რომ ოგურლი ხანის ქალიშვილს მოკლე დროში ქორწილი ექნებოდა. ქეიმირ ქორ-ი წაიყვანს თავის მეომრებს და გაიტაცებს ხანის ქალიშვილს. როდესაც ქეიმირ ქორი სახლში ბრუნდებოდა გზაზე არსებული ყველა ჭა ქვიშით დიფარა. როდესაც ოგურლი ხანმა გაიგო მისი ქალიშვილის გატაცების ამბავი მეტად განრისხდა და მადევრები ისე აადევნდა ქალის გამტაცებლებს, რომ წყალი და საკვები არც კი გააყოლა თან. გზაზე კი აღმოაჩინეს, რომ ყველა ჭა ქვიშით იყო ამოვსებული. ერთერთ ჭასთან სახელად თუნგ გელენ მადევრები მივიდნენ და უწყლობისგან გათანგულები იქვე დაემხოებიან. იქ ქეიმირ ქორთან ბრძოლას გამართავენ და ბრძოლაში დამარცხდებიან“ (მიხაილოვა,1915, s.9-11).

იმავე, პირველ ტომში ი.ა. ბელაიევი თავის სტატიაში სახელწოდებით *Turkmenskiy kolyadniya ptsni* გადმოსცემს თურქმენ ხალხში გავრცელებულ რამაზანის დღესასწაულის სიმღერებს. სტატიაში მოცემულია ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ თვეს მარხულობენ მუსულმანები, აგრეთვე მოცემულია ცნობები რამაზანის ბაირამის სიმღერების გუნდურად მღერის თაობაზე.

ნაშრომის *Protokoli Zasedaniy i Soobsheniya Chlenov Zakaspiskogo Kruijka Lubiteley Arheologii i Istarii Vostoka* მეორე გამოცემაში კი დაბეჭდილია ა. ალიევის სტატია სახელწოდებით *Iz Proshloy Jizni Turkmen* (თურქმენების წარსული ცხოვრების შესახებ) განიხილავს სარანსკის თურქმენებსა და ჰივეს ხანის მუჰამმეთ ემინს შორის მომხდარ ომთან დაკავშირებულ თქმულებას (Aliyev, 1916).

ლ. ზიმინის სტატიაში “კალა-ი-დაბუს“ გადმოცემულია ჰარეზმელი ალთუნთაშ ხანის დაბუს კალას ციხის აღების მცდელობა და ალი თევის მიერ ციხის დაცვის თქმულება-გადმოცემა (Zimin, 1916).

ი. ა. ბელაიევის სტატიაში სახელწოდებით *Iz Istarii turkmen zakaspikoy obsati* გადმოცემულია მომთაბარეობის მსურველი თურქმენებისადმი ქეიმირ ქორ-ის რჩევა (Belyayev, 1916).

იმავე ავტორის იმავე სახელწოდების მეორე სტატიაში მოთხრობილია სპარსეთის მმართველ ნადირ შაჰთან ქეიმირ ქორის სტუმრობა. “ნადირ შაჰმა ჰკითხა ქეიმირ ქორს - რამდენია თქვენი ქვეყნის მოსახლეობაო. ქეიმირ ქორმა

უპასუხა - არ ვიცი, არ დამითვლიაო. მეორედ სტუმრობისას მოგახსენებთ ჩემი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასო. ქეიმირ ქორი დაბრუნდა სამშობლოში და თითოეული მოქალაქისგან მშრალი იოგურტი მოითხოვა. იგი კვლავ წავიდა ნადირ შაჰთან სტუმრად. შაჰმა მას კვლავ ჰკითხა მისი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა. ქეიმირ ქორმა მოითხოვა დაეთვალიერებინა მშრალი იოგურტების რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ მათი რაოდენობა 40000 იყო. იქედან მოყოლებული ცნობილი გახდა, რომ თურქმენების რაოდენობა იყო ორმოცი ათასი. ამის შემდეგ ქეიმირ ქორი ერთ დღესაც სტუმრად წავიდა სადაც სხვა ტომების წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი. ქეიმირ ქორი დილაობით მუდმივად აგვიანებდა. სხვა ტომების წინამძღვრებმა მას ჰკითხეს - რატომ ხარჯავ შენი ადგილსამყოფელის ალაგებაზე როდესაც მოსამსახურეები გყავსო. ამაზე მას უპასუხია: ცუდი გვარიდან მომავალი გამუდმებით პაექრობას ცდილობს, კეთილშობილი გვარიდან მომავალი კი ყოველთვის სუფთად ტოვებს წინა ადგილსამყოფელს”(Belyayev, 1916,s.3-6).

ი.ა. ბელაევის იმავე სახელწოდების მესამე სტატიაში მოცემულია შემდეგი თქმულება: “ნადირ შაჰი და ოგურლი ხანი ერთ აქსაკალს ჰკითხავენ თურქმენულ ტომთა შესახებ. მოხუცი კაცი თითოეულ ტომს აქებს და ისე მოუყვება მათ შესახებ. ბოლოს მოხუცმა იკითხა - თექე-ს თურქმენები როგორები არიანო. ოგურლი ხანმა უთხრა - როდესაც თექე თურქმენების გოგონებს დავინახავთ, უმაღვე შეტევაზე გადავდივართო - რითიც ისინი დაამცირა. ამის გამგონე ქეიმირ ქორი ძალიან გაბრაზდება. შურისძიების მიზნით ოგურლი ხანის სამფლობელოში ჯაშუმ მწყემსს გააგზავნის. მწყემსი ხმას გაავრცელებს, რომ ოგურლი ხანს ქალიშვილი ჰყავდა და მოკლე დროში მისი ქორწილი იყო დანიშნული. ამის გამგონმა ქეიმირ ქორმა მეომრები შეკრიბა და ქალი გაიტაცა. როდესაც ქეიმირ ქორი სახლში ბრუნდებოდა გზაზე არსებული ყველა ჭა ქვიშით დიფარა. როდესაც ოგურლი ხანმა გაიგო მისი ქალიშვილის გატაცების ამბავი მეტად განრისხდა და მადევრები ისე აადევნდა ქალის გამტაცებლებს, რომ წყალი და საკვები არც კი გააყოლა თან. გზაზე კი აღმოაჩინეს, რომ ყველა ჭა ქვიშით იყო ამოვსებული. ერთერთ ჭასთან სახელად თუნგ გელენ მადევრები მივიდნენ და უწყლობისგან გათანგულები იქვე დაემხობიან. იქ ქეიმირ ქორთან ბრძოლას გამართავენ და ბრძოლაში

დამარცხდებიან. ბრძოლის შემდეგ ქეიმირ ქორი ხალხში დაბრუნდება. ოგურლი ხანის ქალიშვილს კი მწყემსს მისცემს“ (Belyayev, 1916,s.6-10).

ლ. ზიმინის აღნიშნულ სტატიაში საუბარია თიმურ-ის შვილთან დაკავშირებულ თქმულებაზე. “გადმოცემულია თიმურის ვაჟის ომერ ემრიზადეს მოგზაურობა ქაშგარში, ფერგანაში და მონღოლეთში. აღნიშნულ ნაწილში გადმოცემულია ომერ შეიკ ემირზადეს ბრძოლა მონღოლთა ემირ ქამარადდინთან. თიმურის მსგავსად ომერ შეიკ ემირზადეც ცდილობს მსოფლიოს დაპყრობას მამის კვალდაკვალ. გზაში შემთხვევით ქამარადდინის მეომრებს გადაეყრება. ფიცხი ბრძოლის შემდეგ ომერ შეიკ ემირზადე იძულებული შეიქნა მთებში გახიზნულიყო საიდანაც თიმურს წერილი გაუგზავნა. ამ ამბის გამგებმა თიმურმა მყისიერ ლაშქარი შეჰყარა და გზას გაუდგა. სამი დღის შემდეგ მიადგა ქამარადდინის ჯარს სადაც ისინი მოუმზადებლად დახვდნენ მას. ქამერ-ად-დინი იძულებული გახდა გაქცეულიყო. მას თიმურის ერთერთი მხედართმთავარი დაედევნა სახელად ქარაბათურ-ი. ქამარადდინი ისრით მოკლავს ქარაბათურის ცხენს. ქარაბათური იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო“.

სხვა დროში მოქმედებისას “ომერ შეიკ ემირზადე გაემგზავრება ქაშგარ-ის დასაპყრობად. იმ დროს ქალაქი ქაშგარი იმართებოდა ვინმე “მირეჟ აქა“-ს მიერ. ერთ დამეს ომერ შეიკ ემირზადე თავს დაესხმება ქაშგარს. იგი მძევლად აიყვანს მირეჟ აქას და მის ოჯახს. იგი ქალაქს ისე დაიპყრობს, რომ არავის არ მიაყენებს ზიანს. მირეჟ აქას ოჯახთან ერთად სხვაგან გააგზავნის. შემდგომ ამისა ომერ შეიკ ემირზადე გადაწყვეტს ქამარადდინის სამფლობელოს ხელში ჩაგდებას. როდესაც ქამარადდინმა ეს შეიტყო მან შეკრიბა ლაშქარი და გადაწყვიტა მტერს ღამით დასხმოდა თავს. ომერ შეიკმა კი თადარიგი დაიჭირა და თავდასხმისთვის მოემზადა. ღამით შეტევის განმახორციელებელი ქამარადდინი მტიკიცე თავდაცვას გადააწყდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო ომერ შეიკი მონღოლეთის იმ ნაწილს ხელში ჩაიგდებს“ (Zimin, 1916, s.3-6).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 1881-1917 წლების განმავლობაში ფოლკლორისტთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა თურქმენული თქმულებების შეგროვება და გამოქვეყნება.

თურქმენული ზეპირსიტყვიერების ჩამწერი ორიენტალისტები მასალებს აგზავნიდნენ მოსკოვსა და სხვა ქალაქებში სადაც ისინი იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა. ა.ნ. სამოილოვიჩის ექსპედიცია თურქმენეთში და მასალის შეგროვება, ჰოჯალი მოლლას მიერ მისთვის სხვადასხვა ნაწარმოებების გადაცემა ითვლება თურქმენული ფოლკლორის კვლევის კუთხით პირველ მცდელობად.

2. ნაწილი

ტერმინ ლეგენდის განსაზღვრება

ტერმინი ლეგენდა სხვადასხვა ენებში მეტ-ნაკლებად იდენტური ფორმით გამოიყენება. მისი ძირი ლათინურია - legendus, ფრანგულად - légende, გერმანულად - legende, იტალიურად - leggenda, ესპანურად - leyenda (Sakaoğlu, 2009, s.19).

თურქეთსა და თურქულენოვან ხალხებში ლეგენდას სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ:

ანატოლიელ თურქებში ლეგენდა ცნობილია რამოდენიმე ტერმინის სახელით (efsane, menkibe, esatir). გამოიყენება აგრეთვე ტერმინი მითოლოგია. ანატოლიის გარეთ მაცხოვრებელ თურქულენოვან ხალხებში ტერმინი შემდეგი ფორმებით აღინიშნება: აზერბაიჯანში: esatir, efsane, mif; თურქმენეთი: epsana, rovat; უზბეკეთი: efsane, rivayet; ქარაქალფაქლიებში: epsana, legenda, anız, engime; ყაზახებში: anız, anız-engime, rpsane-hikaye; ბაშქურთებში: rivayat, legenda; ყირიმელ თათრებში: efsane; ყაზანელ თათრებში: rivayat, legenda, ekiyet, beyt; ალტაელ თურქებში: kuuçın, kep-kuuçın, mif-kuuçın, legenda-kuuçın; ჰაკასებში: kip-çoo, legenda, çoo-çaah, nımah; თუვას თურქებში: tool-çurga çugaa, töögü çuğaa, toolçurgu bolgaş töögü çugaalar; შორლარ თურქებში: purungu çook, kep-çook, erbek; ყარაჩაელებში: aytiv, tavvruh; უიღურებში: rivayet, espene; იაკუტებში: kepsen, sehen, kepsel, bılrıgı sehen; დოლდანელ თურქებში: çukçah; ტოფა თურქებში: uleger; ჩავუშებში: halap, mif, legenda, yumah; ყირგიზებში: ulamış, mif, ılap, comok. (Ergun, 1997, გვ. 1-2)

3.ნაწილი

კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისობრივი მეთოდი/ტექსტის ანალიზი. მეთოდის ფარგლებში ხდება საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა და მათი შედეგების გამოყენება (Karasar, 2008, s. 13). ჩვენ გავანალიზეთ მაკთუმქულუს თქმულებების მოტივები სტიტ ტომფსონის “ხალხური ლიტერატურის მოტივთა ინდექსის“ კატალოგის მიხედვით და შევადარეთ მათ. მაკთუმქულუს თქმულებებში გამოვლენილი მოტივები ძირითადად თანხვედრაშია ხსენებული იქნდექსის კლასიფიკაციებთან. ის მოტივები, რომლებიც არ ფიქსირდება ხსენებულ ინდექსში აღნიშნულია (T) ნიშნით რაც მიუთითებს, რომ მოტივი ეკუთვნის თურქულ ფოლკლორს.

სემპლინგი

მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოყენებულია თურქმენი მკვლევარის ამანმირათ ბაიმურადოვის მიერ 1983 წელს დაწერილი ნაშრომი სახელწოდებით “Mahtumkulu Hakında Rovayat ve Legendalar” (მაკთუმქულუს ლეგენდები და თქმულებები). აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია 86 ლეგენდა. ჩვენ განვიხილეთ 85 ლეგენდა. ლეგენდათა ნაწილი მოპოვებულია მეკთი ქოსაევის მიერ დაწერილი ნაშრომიდან სახელწოდებით “Mahtumgulu Hakında Halk Rovayatlari” (მაკთუმქულუსთან დაკავშირებული ხალხური თქმულებები), დარჩენილი ნაწილი კი მოვიპოვეთ გაზეთებიდან და ჟურნალებიდან. შემდგომ ეტაპზე მოპოვებული ნაწარმოებები გავანალიზეთ სტიტ ტომფსონის მოტივთა ინდექსის მიხედვით. რის შედეგადაც დადგინდა, რომ ძირითადად მოტივები ერგება აღნიშნულ კლასიფიკაციას.

განხილული ლეგენდების ტექსტები კი თურქულ და თურქმენულ ენებზე მოცემულია დანართების ნაწილში.

კვლევის არეალი და ლიმიტაციები

მოცემულ ნაშრომში განხილულია მაკთუმქულუს მხოლოდ თურქმენული თქმულებები. გამოვიყენეთ თურქმენი მკვლევარის ამანმირათ ზაიმურადოვის ნაშრომი, საიდანაც გასაანალიზებლად ავიღეთ 85 ნაწარმოები.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მასალა მოვიპოვეთ თურქმენეთის უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკებში, გაზეთებსა და ჟურნალებში. მასალების შეგროვებისა და ანალიზის შემდეგ გამოვავლინეთ მოტივები, რომლებიც მოვარგეთ ტომფსონის მიტივთა ინდექსს. მაკთუმქულუს თქმულებები ითარგმნა თურქულ ენაზე.

მოტივთა ინდექსის კატალოგის გაცნობა

მოცემულ ნაშრომში გამოყენებულ იქნა ს. ტომფსონის ექვსტომიანი მოტივთა კატალოგი. ნაშრომის სახელწოდებაა *Motif Index of Folk Literature* (ხალხური ლიტერატურის მოტივთა ინდექსი). კატალოგი გამოიცა 1932-36 წლებში. დღემდე მისი მრავალი გამოცემაა დაბეჭდილი. ჩვენ გამოვიყენეთ 1955 წლის გამოცემა სადაც მოტივები 23 სახეობადაა დაყოფილი. მოტივები დაყოფილია თემატიკის მიხედვით:

- A. მითოლოგიური მოტივები
- B. ცხოველები,
- C. აკრძალვები,
- D. ჯადოები,
- E. სიკვდილი,
- F. ზებუნებრივი ძალები,
- G. დევები,
- H. გამოცდები,

- J. ჭკვიანები და სულელები,
- K. მოტყუებები,
- L. ბედის ბორბალის უკუღმა ტრიალი,
- M. მომავლის წინასწარ განსაზღვრა,
- N. იღბალი და ბედნიერი შემთხვევა,
- P. ჯამათი,
- Q. ჯილდოები და სასჯელები,
- R. მძევლები და ფირალები,
- S. არაადამიანური მოპყრობა/ტანჯვა,
- T. ეროტიზმი,
- U. ცხოვრებისეული წესები,
- V. სარწმუნოება,
- W. პერსონაჟების თვისებები,
- X. იუმორი, (Thompson, 1955, s.29-35).

ტომფსონის 6 ტომიან კატალოგში მოტივები შემდეგი თემატიკის მიხედვითაა განაწილებული:

ტომი 1: მოთოლოგიური მოტივები, ცხოველები, აკრძალვები

ტომი 2: ჯადო, სიკვდილი

ტომი 3: ზებუნებრივი მოვლენები, დევები, გამოცდები

ტომი 4: ჭკვიანები და სულელები, მოტყუებები

ტომი 5: ბედის ბორბალის უკუღმა დატრიალება, მომავლის განჭვრეტა, შანსი და ბედნიერი შემთხვევა, ჯამათი, ჯილდო და სასჯელი, ტყვეები და ფირალები, არაადამიანური მოპყრობა, ეროტიზმი, ცხოვრებისეული წესები, სარწმუნოება, პერსონაჟთა თვისებები, იუმორი, სხვადასხვა მოიტვთა ჯგუფები. მოცემულ ტომში მოტივები ანბანური წყობითაა დალაგებული.

ტომი 6: მოცემულია მოტივების ინდექსი ანბანური წყობის მიხედვით.

აღნიშნულ კატალოგში მოტივები 23 კატეგორიის ფარგლებშია მოცემული. ყოველი კატეგორია დაყოფილია ქვე-კატეგორიად. მოტივები დანომრილია და აღნიშნულია შესაბამისი ნიშნით. მაგალითისთვის:

P. ჯამაათი

P200-229: ოჯახი

P251. ძმები

P251.5. ორი ძმა

P251. 6.1. სამი ძმა

P251. 6.3. ექვსი ან შვიდი ძმა

P252. 2. სამი დასძე

P252. 3. შვიდი და (Alay, 2005, s.104).

მოტივთა ინდექსის კატალოგის გამოყენება

აღნიშნულ თავში ნაჩვენებია, თუ როგორაა გაანალიზებული მაჰთუმქულუს თქმულებათა მოტივები. ამისთვის აუცილებელი იყო მოტივის განსაზღვრება. მოტივებთან დაკავშირებით თურქეთში პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკუთვნის საიმ საქაოღლუს, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ კვლევისას. მოტივებთან დაკავშირებული განმარტებები შემდეგი სახით შეიძლება დალაგდეს:

მაქს ლიუთის მიხედვით მოტივი “ამბის გადმოცემის უმცირესი ასპექტია“.

ვესსელევსკის მიხედვით მოტივი “ამბის ისეთი უმცირესი ნაწილაკია, რომელიც თავის თავში აღარ იყოფა.“

სტით ტომფსონის მიხედვით მოტივი “ზღაპრის დამაჯერებლობის მქონე თხრობის სტილია“. მოტივები შესაძლებელია სამ ჯგუფში გავაერთიანოთ:

1. ზღაპრის გმირები, ღმერთები, უცნაური ცხოველები, ფანტასტიკური არსებები, ჯადოქრები, დევები, ფერიები, ადამიანები, პატარა ბავშვები, მოძალადე დედინაცვლები და სხვა.

2. ჯადოსნური საგნები, უცნაური ადათ-წესები, უცნაური ცრურწმენები.

3. ერთი მთავარი მოვლენისგან შემდგარი და სხვა მოტივების გამაერთიანებელი მოტივი (Atanur, 2002,s.127).

მოტივების განმარტებამდე მაკთუმქულუს თქმულებები თურქულ ენაზე გადაითარგმნა. შემდგომ გავაანალიზეთ პოეტთან დაკავშირებული მოტივები და ისინი შევადარეთ მოტივების ინდექსის კატალოგში მოცემულ მოტივებს. როგორც გაირკვა, მაკთუმქულუს თქმულებების მოტივები უმეტესწილად ერგება ხსენებულ მოტივთა იქნდესში მოცემულ მოტივებს. ის მოტივები, რომლებიც არ ფიქსირდება ხსენებულ ინდექსის კატალოგში, აღნიშნულია (T) ასი-ნიშნით, რაც ნიშნავს, რომ ისინი ეკუთვნიან თურქულენოვან ფოლკლორს. განხილული მოტივები მისადაგებულია ინდექსში მოცემულ მოტივთა 23 კატეგორიას.

4.ნაწილი

ჩვენ განვიხილეთ მაკთუმქულუს 85 თქმულება-ლეგენდა რომლებიც მოცემულია თურქმენი მკვლევარის ამანმირათ ბაიმირადოვის ნაშრომში სახელწოდებით “Mahtumkulu Hakında Rovayatlara ve Legendalar” (ლეგენდები მაკთუმქულუს შესახებ). მათგან ერთი არ განვიხილეთ, რადგანაც იგი არ არის ლეგენდის ჟანრისა.

მოტივთა ინდექსის კატალოგის მიხედვით დადგენილი ასპექტები

Adı Garrı Molla Olsun

J610. თადარიგის დაჭერა

მაკთუმქულუს იონაჩის მშვილბეელი ოჯახის უფროსი მას უფროსი ძმის შვილთან შეაუღლებს.

J1010. სიბუჯითის მნიშვნელობა

მაკთუმქულუ იონაჩი ადამიანებს მისი სიბუჯითისა და შრომისმოყვარეობის გამო უყვართ.

L123. უქონარი გმირი

მაკთუმქულუ იონაჩი ღარიბი ადამიანია.

L140. ცუდი იღბალის შემობრუნება

მაკთუმქულუს ბედი უკეთესობისკენ შეიცვალა, როდესაც იგი იშვილა შეძლებულმა ოჯახმა.

N134. საკუთარი ბედის მართვა ადამიანების ხელთაა

მაკთუმქულუ რჩება გიშიქ-ის გვართან. მოგვიანებით ოჯახი მას იშვილებს.

N200. ბედის წყალობა

შვილად ამყვანი ოჯახი მას საკუთარი გვარის ქალზე დააქორწინებს.

N203. იღბლიანი ადამიანი

მაკთუმქულუ რჩება გიშიქ-ის გვართან. მოგვიანებით ოჯახი მას იშვილებს.

N820. დახმარების აღმომჩენი ადამიანები

მაკთუმქული იშვილა გიშიქ-ის გვარმა.

P10. მეფე (ხანი)

მაკთუმქულუ მიდის ათანიაზ ქადირ ხანთან.

P12. მეფის თვისებები

ათანიაზ ქადირ ხანი მაკთუმქული იონაჩის თავიდან მოშორების მიზნით მას გიშიქებთან აგზავნის.

P411. მოსამსახურე

მაკთუმქულუ იონაჩი ათანიაზ ქადირ ხანს ჰკითხავს სჭირდება თუ არა მას მოსამსახურე.

P453. მეწადეობა

მაკთუმქულუ იონაჩი თავისულაფ დროს ფეხსაცმელს კერავს.

P460. სხვა პროფესიები

(T)P460.1. ოქრომჭედელი

დაოჯახების შემდეგ მაკთუმქულუ ოქრომჭედლობას მიჰყოფს ხელს.

(T)P460.2. მეუნაგირე

მაკთუმქულუ იუნაჯი დაოჯახების შემდეგ უნაგირების კეთებას იწყებს.

P600. წეს-ჩვეულებები

ახალდაბადებულს არქმევენ სახელს.

T100. დაოჯახება

მაკთუმქულუ, მას შემდეგ რაც მას იშვილებს ერთი ოჯახი, მას იმავე გვარის ქალზე დააოჯახებენ.

T121. უთანასწორო ოჯახური კავშირი

მაკთუმქულუ მასზე ზედა სოციალური კლასის ქალთან დაოჯახდება.

T131. დაოჯახების პირობები

მაკთუმქულუ იძულებულია დაოჯახდეს მისი შვილად ამყვანი გვარის ქალზე.

T596. ბავშვისთვის სახელის დარქმევა

მაკთუმქულუს შვილს შეარქვეს გარრიმოლა.

W10. სათნო პიროვნება

მაკთუმქულუ ყველას უყვარს თავისი კარგი თვისებების გამო.

W28. ერთგულება

მაკთუმქულუ დაოჯახების შემდეგ სხვადასხვა საქმეებს აკეთებს რათა ოჯახი არჩინოს.

W31. მორჩილება

მაჰთუმქულუ დათანხმდა თავისი ბავშვისთვის გარრიმოლა შეერქვათ.

W35. სისწორე

მაჰთუმქულუ ყოველთვის კეთილშობილურად იქცვა.

Z10.1. დასაწყისის ფორმულები

მარტივი დასაწყისის ფორმულა

მაჰთუმქულუ იონაჩი გერზექის დასახლებაში ათანიაზ ქადირ ხანის მმართველობის დროს მთის მხრიდან მივიდა.

Z10.3. დაკავშირება/გადასვლის ფორმულები

დახასიათებები - კაცის ტიპის დახასიათება

იონაჩი ერთობ პატიოსანი ვინმეა; იგი გოგოებისკენ არ იხედება და მხოლოდ თავის საქმითაა დაკავებული.

Z64. ანდაზა

(T)Z64.1. თქმულება

მაჰთუმქულუს ბავშვი მხცოვან ასაკში შეეძინა. იმ დღეს ციდან ზარების ხმა შემოესმათ.

ადგილების ფორმულები

ლოკაცია: გერზექი, მთა

Adi Garri Molla Bolsun თქმულებაში მოტივთა ინდექსის კატალოგში მოცემული 23 კატეგორიის მოტივებიდან მხოლოდ 7 სახეობის მოტივი გამოვლინდა. მათი გადანაწილება შემდეგნაირია: J 2, L 2, N 4, P 7, T 4, W 4, Z 4.

მაკთუმქულუს თქმულებების ანალიზის შედეგად მიღებული ცნობების ინტერპრეტაცია

Table 4.1. მაკთუმქულუს თქმულებებში გამოვლენილი მოტივების გადანაწილება კატეგორიების მიხედვით და მათი რაოდენობა.

მოტივების სახეები მოტივთა ინდექსის მიხედვით	მოტივების რაოდენობა	სიხშირე	მოტივების საერთო რაოდ. %	მთლიანი სიხშირე %
მითოლოგიური მოტივები	0	0	0.00%	0.00%
ცხოველები	2	2	0.53%	0.10%
აკრძალვები	7	13	1.84%	0.68%
ჯადოქრობა	6	8	1.58%	0.42%
სიკვდილი	0	0	0.00%	0.00%
ზებუნებრივი მოვლენები	27	40	7.11%	2.10%
დევები	0	0	0.00%	0.00%
გამოცდები	37	124	9.74%	6.51%
ჭკვიანები და სულელები	27	115	7.11%	6.03%
მოტყუებები	16	57	4.21%	2.99%
ბედის ბორბალის უკუღმა				
დატრიალება	13	71	3.42%	3.73%
მომავლის განჭვრეტა	8	48	2.11%	2.52%
შანსი და ბედნიერი				
შემთხვევა	19	154	5.00%	8.08%
ჯამაათი	70	480	18.42%	25.18%
ჯილდო და სასჯელი	29	61	7.63%	3.20%
მძევლები და ფირალები	14	75	3.68%	3.93%
არაადამიანური მოპყრობა	5	9	1.32%	0.47%
ეროტიზმი	24	57	6.32%	2.99%

ცხოვრებისეული წესები	3	23	0.79%	1.21%
სარწმუნოება	18	39	4.74%	2.05%
პერსონაჟთა თვისებები	24	278	6.32%	14.59%
იუმორი	0	0	0.00%	0.00%
სხვადასხვა მოტივთა				
ჯგუფები	31	252	8.16%	13.22%
სულ	380	1906		

A. მითოლოგიური მოტივები: მაკთუმქულუს თქმულებებში მითოლოგიური მოტივები არ გვხვდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ნაწარმოებები შედარებით გვიანი პერიოდისაა. ამის დასტურია თქმულებებში ისლამური მოტივების არსებობა.

B. ცხოველები: ცხოველებთან დაკავშირებული მოტივები შედარებით ნაკლებად გვხვდება. ცხოველებთან დაკავშირებულ მოტივთა საერთო პროცენტული მაჩვენებელია 0.10 %. კატალოგში არ მოიძებნა ამ სახის მოტივი.

C. აკრძალვები: ამ ტიპის მოტივები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. “ტაბუ“, როგორც მოტივი ძირითადად მითოლოგიური სახის ნაწარმოებებშია წარმოდგენილი. ისინი ძირითადად არქაული პერიოდის ლეგენდებში გვხვდება. გაანალიზებულ ტექსტებში მათი ჯამური რაოდენობაა 0.68 %. ამ ტიპის მოტივები ფიქსირდება მოტივთა ინდექსის კატალოგში.

D. ჯადოქრობა: თქმულებებში ამ ტიპის მოტივები მცირე რაოდენობით გვხვდება. ჯადოქრობის მოტივი ძირითადად მითოლოგიური ჟანრის თქმულებებში ფიქსირდება. განხილულ ტექსტებში ამ ტიპის მოტივების პროცენტულია როდენობაა 0.42 %. ნაწარმოებებში ფიქსირდება 4 ასეთი ტიპის მოტივი. მოტივთა ინდექსში ამ სახის მოტივები არაა მოცემული.

E. სიკვდილი: აღნიშნული მოტივი თქმულებებში არ ფიქსირდება. ამ ტიპის მოტივი ძირითადად მითოლოგიური შინაარსის ლეგენდებში გვხვდება.

F. ზებუნებრივი ძალები: განხილულ ტექსტებში აღნიშნული მოტივები მცირე რაოდენობით გვხვდება: 2.10 %. იგი ძირითადად ზღაპრის ჟანრისთვისაა დამახასიათებელი.

G. დევები: აღნიშნული მოტივი ტექსტებში არ გვხვდება. ძირითადად ზღაპრებისთვისაა დამახასიათებელი.

H. გამოცდები: აღნიშნული მოტივის პროცენტული რაოდენობა განხილულ ტექსტებში 7 %-ია. სხვა მოტივებთან შედარებით უფრო ხშირად გვხვდება. იგი გვხვდება მოტივთა ინდექსში.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნა

ლეგენდებსა და თქმულებებს თურქმენულ ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მასში მოცემულია ზეპირსიტყვიერების ისეთი ჟანრები, როგორცაა ლექსი და ანდაზა. ამასთანავე, მათ მნიშვნელობა ენიჭება თურქმენული კულტურის შენახვისა და მომავალ თაობებზე გადაცემის კუთხითაც. ჩვენს მიერ მაკთუმქულუს თქმულებების განხილვის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. მაკთუმქულუს თქმულებებში მთლიანად გამოვლენილ იქნა 380 განსხვავებული მოტივი. 380 მოტივი 85 თქმულებაში 1906-ჯერ გვხვდება. ეს გვიჩვენებს, რომ მაკთუმქულუს თქმულებები მოტივების კუთხით მდიდარია.

2. ყველაზე ხშირად გვხვდება მოტივი “P ჯამათი”. მოტივთა აღნიშნული ჯგუფიდან დაფიქსირდა 70 განსხვავებული მოტივი. ეს 70 მოტივი 85 თქმულებაში 480-ჯერ გვხვდება. მოტივში “P ჯამათი” ძირითადად საზოგადოებრივი ურთიერთობებია ასახული, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების სტილის შესწავლის მიზნით.

3. მოტივები, რომლებიც არ გვხვდება ჩვენს მიერ განხილულ ტექსტებში: “A მითოლოგიური მოტივები”, “E სიკვდილი”, “G დევები”, “X იუმორი”. ჩამოთვლილი მოტივები როგორც წესი არქაული პერიოდის ზეპირსიტყვიერების მოტივებია. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ისინი არ არიან წარმოდგენილნი

მაკთუმქულუს თქმულებებში, რადგანაც მაკთუმქულუს თქმულებების შედარებით გვიანდელი პერიოდისაა. სხვა მიზეზები იმისა, რომ მითოლოგიური მოტივები არ ფიქსირდება ტექსტებში: ა) თურქმენტა მიერ მუდმივი საცხოვრებლის ნახვა, ბ) ისლამის მიღება.

4. თქმულებათა კიდევ ერთი მახასიათებელია ისტორიული ან რელიგიური პირების ამბების გადმოცემა. განხილულ თქმულებებში ყველაზე ხშირად გამოყენებული სხვა მოტივებია: “**H** გამოცდები”, “**Q** ჯილდო და სასჯელი”, “**J** ჭკვიანები და სულელები”, “**W** პერსონაჟის თვისებები”. როგორც წესი, თთქმულებების მთავარი პერსონაჟები გამოირჩევიან ჭკუით, სამართლიანობით და საერთო ინტერესებზე ზრუნვით.

5. განხილული ტექსტებიდან 66-ში არ გვხვდება ფანტასტიკური და ზებუნებრივი მოვლენები თუ პერსონაჟები. როგორც წესი, ლეგენდები ფანტასტიკურ სიუჟეტზეა აგებული. განხილული ტექსტებიდან 19-ში ფიქსირდება ფანტასტიკური მოტივები. ისინი შეიცავენ არქაულ-მითოლოგიურ სიუჟეტებს.

6. რელიგიური შინაარსის ტექსტები მთლიანად ისლამთანაა დაკავშირებული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თქმულებები გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება.

7. მაკთუმქულუს თქმულებები ძირითადად ყოველდღიურ და სარწმუნოებრივ თემატიკას შეიცავს. მათში რეალური ადამიანური ურთიერთობებია გადმოცემული.

8. მაკთუმქულუს თქმულებებში კარგადაა გადმოცემული თურქმენი ერის ყოველდღიური ცხოვრება.

9. თქმულებებიდან 21-ში გადმოცემული მოვლენები რეალურ ფაქტებთან ავლენს მსგავსებას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათში რეალურად მომხდარი ფაქტებია სიუჟეტად აღებული.

10. მაკთუმქულუს თქმულებებში ფერები თეთრი, შავი, წითელი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი შემდეგი რიცხობრივი თანმიმდევრობითაა გამოყენებული: 3, 4, 5, 7, 9, 40.

11. მოცემულ ნაშრომში მაკთუმქულუს ტექსტები გაანალიზებულია ხალხური ლიტერატურის მოტივთა ინდექსის მიხედვით. მიღებული შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ მაკთუმქულუს თქმულებათა მოტივები ძირითადად მიესადაგება მოტივთა აღნიშნულ კატალოგში მოცემულ ინდექსებს.

რეკომენდაციები

1. მაკთუმქულუს თქმულებები ბევრ საინტერესო საკვლევ ასპექტს შეიცავს. ჩვენი კვლევა დაეხმარება საკითხის მომავალ მკვლევარებს.

2. თურქმენი ფოლკლორისტები განასხვავებენ ლეგენდასა და თქმულებას, თუმცა პრობლემატია განსაზღვრებებში, რაც თეორიულ გაუგებრობას იწვევს. აუცილებელია აღნიშნულ ცნებეთან დაკავშირებული განმარტებების სისტემაში მოქცევა.

3. თურქმენული ლეგენდების ტიპოლოგიური და მოტივთა ანალიზის მიზნით აუცილებელია მსგავსი კვლევების ჩატარება. შედეგად შესაძლებელი იქნება თურქმენული ფოლკლორის მოტივთა და ტიპოლოგიის კატალოგების შექმნა.

სამეცნიერო ნაშრომები:

1. Gökçegözoğlu, A., & Serbes, M. (2015) “Episode Examination of the Turkmen Saga of Varka-Gülşa” *International Journal of Social Sciences & Educational Studies*, Erbil: By Ishik University, Vol 2(2), p.24-33.

2. Serbes, M.(2016) Erzurum in the Turkmen Version of Koroglu Legend, *International Journal Of Social Sciences & Educational Studies*, Erbil: By Ishik University, Vol 2(3), p.27-36.

3. Serbes, M., & Gökçegözoğlu, A. (2016) Motif Analysis on Avicenna’s Legends That Have Been Detected in Turkmenistan Area, *Journal in Humanities*, Tbilis: By International Black Sea University, Vol2 (5), p.45-62.